მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N12

ქ.წალენჯიხა 21 ივნისი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ანზორ ფიფია, ასმათ კვარაცხელია, ილია გულუა, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, ავთანდილ გაბელია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, მარინა კალანდია, ნონა კვარაცხელია, ივერ კვარაცხელია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია,

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია , წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 12:30 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თ. მებონია
მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების , სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ

მოისმინეს: 1 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგეობის ეკონომიკური განვითარების , სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ თეიმურაზ მებონიამ
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N25) .

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: **თ. ღვინჯილია**